

რედაქცია

მოღონის (აბას-აბატის) მადანზე, შორღონის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. შალაქს ვარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дროება“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

განცხადების ფასი

ღიდი ასობით, ასობე — 1 კაპ., ასობითადაც სტრიქონზე — 8 კაპ., ციფრობით — 5 კაპ., პეტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოცხადებულ სტატიებსა და უბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

შეიძლება: თფილისში, რედაქციის კანტორაში (აღრესი გაზეთის სათაურში ნახეთ) და გარეშე შალაქებში — „დროების“ აგენტებთან. ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (ე. ი. 1 ივლისიდან ვიდრე 1876 წლის 1 იანვრამდე) გაგზავნილ და გაუგზავნილად — 4 მან. და 50 კაპ.

საქართველო

ზამი ზღვის ნავირობის დასახლება

მდიდარი, მშვენიერი ადგილები. სოხუმში მდებარეებული თითქმის ნოვოროსიისკამდინ ბუნებას უხვად გაუფანტავს თავისი სიმდიდრე: გამოუღებელი საბალახოები, თვალუწვდენელი, გაუფალი ტყეები, რომელშიც იბოვება ყველა ხეების თვალი — ბზა, სახნაფ — სათესი ადგილები, სავენახეები; შეიძლება მოიყვანოს კაცმა დიდძალი სიმინდი, აბრეშუმის და სხვა ყველაფერი, რაც ადამიანის ცხოვრებისათვის საჭიროებას შეადგენს.

მს ადგილები ახლა გავერანებულ, გაუდაზნობულ ადგილებათ გადაქცეულან. მათ დროს კი აქ ცხოვრება, თავისებური ცხოვრება ჰყვარდა.

ჩერქეზეთის დაპყრობის შემდეგ, უმაღლესმა მთავრობამ, სტრატეგიული და სხვა მოსახრების გამო, სასარგებლოდ დაინახა, რომ ეს ადგილები დაეკალიერებინა. სოხუმის, პიჭინდის, მაგრის და სხვა ხეობებში, იქ, სადაც ადრე „სიცოცხლე

ჰქუხდა,“ ახლა თითქმის კაცის ფეხის კვალსაც იშვიათად დაინახეთ. მხოლოდ აქა-იქ გიჩვენებენ თითო-ორი სოფელს, რომელშიც დაყვითლებული და გაღარიბებული ჩერქეზები დგანან და ახლად-გაღმოსახლებულ რუსების კოლონიებია; გეტყვიან, რომ ეს პატკოვისა და ლეონტიევის მამულია, ეს სევერცოვის, ეს მამონტოვის, ძრავჩინკოს და სხვ. ამგვარი გვარებისა.

მას აქეთ, რაც ეს შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირები დაპყრობილია, რამდენჯერმე ყოფილა სჯა, რომ აქ რუსები დაესახლებინათ.

აი, ახლაც ერთს რუსულს გაზეთში („მოლოსში“) სწერენ, რომ რადგან იქაურ მემამულეებს მუშების შოვნა უჭირთ და მამულეები ვერ შეუშუშავენიათ, ამის გამო განზრახა აქეთ, შეიკრიბნენ, ერთად გადასწყვიტონ — თუ რაგვარი საშუალებით შეიძლება აქ ხალხის გადასახლება და ამნაირად მუშების გაიფუტა; შემდეგ ეს გადაწყვეტილება მთავრობას უნდა წარუდგინონო.

ჩვენ არ ვიცით, ეს ხმა რამდენათ საფუძვლიანია და მართალი.

მაგრამ ეს კი ნამდვილად ვიცით, რომ, თუმცა ხსენებული ქვეყანა

მშვენიერი და ბუნებით მდიდარი ქვეყანაა, მაგრამ აქ რუსები და საზოგადოთ ბარიდამ გაღმოსახლებული ხალხი ვერ გასძლევს. ბარის ხალხს სულ სხვა აგებულება აქვს; მათში ის ვერ იხვირებს, აგრეთვე როგორც მთის ხალხი ბარში. ჰავა, მიწა, წყალი ვერაფერი ვერ მიითვისებს.

მს თვით ბუნების კანონია, რომელიც ჩვენშიც ბევრჯელ გამართლებულა. ამბობენ, ნეტარ-ხსენებულ მორონტოვამ, სამოცი მოსახლე რუსი გარდასახლა 1852 წელს შირიმში სადღაც ახალციხის მახლობლად და ამ სამოცი მოსახლიდამ ახლა, ოცდა რვა წლის შემდეგ, მხოლოდ ხუთმეტი თუ ოცი მოსახლე-დარჩაო; დანარჩენი სულ ამოიწყვიტაო.

რასაკვირველია, კაცი მუდამ ბუნებას ებრძვის და ცდილობს, რომ როგორმე დაიმორჩილოს. მაგრამ რაც ეს ბრძოლა უფრო გაადვილებული იქნება, რაც ბრძოლის დროს უფრო ნაკლები მსხვერპლი დასჭირდება, ისა სჯობიან. მაგალითად ჩერქეზეთის უდაბნოთ გადაქცეული ადგილები, ისარგებლონ იმის ხეტყითა და სხვა ბუნების სიმდიდრით; მაგრამ ისარგებლონ ისე, რომ რამდენიმე ათის სარგებლობას რამდენიმე ათასის ზარალი არ ამსხვერპლონ.

მინც ამ გარემოებას მიიღებს მხედველობაში, ის ადვილად დაგვეთანხმება, რომ წინდახედულება, კეთილგონიერება და ანგარიში მოითხოვს, რომ თუ ჰსურთ ჩერქეზეთის ხელახლად დასახლება, ისეთი ხალხით უნდა დასახლონ, რომლის აგებულება უფრო ადვილათ აიტანს იქა-

ურ ბუნებას, რომელიც იქ უფრო ადვილად იცხოვრებს და უფრო ნაყოფიერად იმუშავებს.

ამისთანა ხალხი თვითონ ჩერქეზეთის მოსამზღერე ხალხია.

ს. მესხი

ღიშური

შნდა გაეტყდეთ, რომ უკანასკნელმა ქართულ წარმოდგენამ ყველა მაყურებლები ვერ დააკმაყოფილა. მაგრამ ეინც ჩვენი სცენის მდგომარეობა იცის, ეინც იცის რამდენ წველებათა ჯდება თითო წარმოდგენა, რამდენი რამ აუცილებელად საჭირო კუთვნილება აკლია ხოლმე მოთამაშეებს თითოეულ დრამატიულ თხზულების წარმოდგენის დროს, ის ადვილ-თ დაგვეთანხმება, რომ ყოველთვის და ყველა პიესების რიგინად წარმოდგენა ჩვენში ამ ჟამად თითქმის შეუძლებელი საქმეა. ნუ მეტყვით, რომ კარგათ წარმოუდგენლობას სულარ წარმოდგინონ — ისა სჯობიანო. ასე რომ მოვიქცეთ, ჩვენ არც ერთ საზოგადო საქმეს ხელი არ უნდა მოვიკლოთ, რადგან როგორც რიგია და როგორც სასურველია, ისე ამ ჟამად ვერცერთი საქმე ვერ მოთავსდება ჩვენში. იმ აზრისა ვართ, რომ ჯერ-ჯერობით ცოტასაც უნდა დაეჯერდეთ, რამდენათაც გარემოებას გვაძლევს, ისე უნდა მოვიქცეთ. სულ არაობას ცოტა სჯობიან.

ჩვენ შევიტყეთ, რომ ქართული სცენის მოყვარენი ამ მოკლე ხანში, საზოგადოების თხოვნით, „სკაპენის ცულლუტობის“ გამეორებას აპირებენ. სრული იმედი გვაქვს, რომ დიდის დავლით ებრუნდებოდით შინ. ცხრა ვაჟი კაცი შეილი ერთად მომესწრნენ ერთხელ და დამიწყეს ჩხუბი: „სხვის ბელადობას და გამდიდრებას ჩვენ გვიბეზობდა და გავამდიდრებო? მაგვიძეხი წინ, წაგვიყვანე და დავლის შოვნისა ჩვენ ვიცითო!“ მჰ, ადევ, დავიჯერე იმათი რჩევა და წამოვიყვანე ქართლისაკენ.

მოვედით ღართის-კარში და ჩვენსედით საფარში. (ღართის-კარი მცხეთის ექვსის ვერსით ზემოთ არის, სადაც იყრიან ღუშეთის და სამუხრანო გზები). შევხედეთ და ოთხი შეიარაღებული ქართველი მოდიოდა გზა და გზა; გადუხტნენ ჩემი შეილები, დააყრევინეს ხელიდამ იარაღი და შეჭკრეს თასმებით. მე ეს ტყეები ჩაერევე ხევში, მივაბი ცალ-ცალკე ხეებზე და წამოვედ საფარისაკენ. მთვარემ კარგათ გადიწია, რომ

ფელტონი

აქვალაური აგება

მოგია ხამხაძე

ჩვენი მკლავ-ძლიერი ირაკლი მეფის დროს ყოფილან საკმაოდ იმისთანა კაცები, რომელთაც თავის მოქმედებით უტრიალებიათ ქართლის ბედი და თუმცა ეს კაცები დაბალი შთამომავლობისანი ყოფილან, მაგრამ მათს დიდებას სამხედრო ასპარეზზედ ბევრი დიდებული თავადი-კაცი შეჭყურებდა სიშურის თვალით.

ამისთანა კაცები ყოფილან მოგია ხამხაძე — მცხეთელი გლეხი და მივი ბოდაველი — ფშავე.

მს მოგია ხამხაძე სწორეთ ის მოგია არის, რომელთანაც მეფე ირაკლის ლაპარაკი ჰქონდა ასპინძის

ამის დროს. ის იყო დაუძინებელი მტერი ლეკებისა, რომელნიც არაოდეს არ ასვენებდნენ ჩვენს ქართლს. იმას და მიე ბოდაველს ჰქონიათ ვალი ქართლის ყარაულობისა ყოველ ღამე.

თუ რამდენად საშიში ყოფილა ლეკებისთვის ეს ჩვენი ხამხაძე, ამის დასამტკიცებლათ მოვიყვან თვითონ ლეკის ლაპარაკს პაპა ჩემთან.


როდესაც ლეკები დაეცემოდნენ ქართლის სოფლებს, რომელთაც აოხრებდნენ და გადასწყავდნენ, ზოგჯერ იმათ აქ დაუზამთრდებოდათ და ქართლის სოფლების მცხოვრებლებს ვალდებულათ ჰყოფდენ თავის გამოსაკვებად ზამთრის განმავლობაში.

აი, სწორეთ ამნაირის შემთხვევით დარჩენილიყვენ ლეკების. შალაში, რომლის ყველა მოსახლეს ორი-სამი ლეკი დაუდგა სახლში. პაპა ჩემს,

სხვათა შორის, შეჭხვედროდა წილში სამი ლეკი, რომელთაგან ერთს ცხვირი შავ ძირში ჰქონდა მოთლილი. პაპა ჩემს მოენდომებინა გავეგო, თუ რისთვის და ვის მოუთლია ამ ლეკისათვის პირის სახის დამამშვენიებელი ცხვირი; ლეკი არ ეუბნებოდა თურმე და პაპა ჩემს იმიტომ უფრო მოენდომებინა ამ საიდუმლო გარემოების გაგება.

მითხელ მიეტანა ახალი გამოწურული მაჭარი, რომელიც შეჭკვეთებოდა ლეკის დაბურულ ტერის და ამის შემდეგ პაპა ჩემს თხოვნაზედ უარი აღარ ეთქვა; მარამ ფიცი აეღო, რომ არაფის ეტყვის მისს ნათქვამს და მოპყოლიყო ლაპარაკს ამ გვარად:

„მჰ, ის დღე ჩემთვის სატანჯველათ შეიქმნა შემდეგ ცხოვრებაში. მე ბელადი ვეყავ ქართლში წამომსვლელი ლეკებისა და ყოველთვის



ის პირნი, რომელნიც უკანასკნელი წარმოდგენით არ არიან კმაყოფილნი, სრულად დაკმაყოფილებიან, როდესაც ამ „სკაპენის“ წარმოდგენაზე დაეწერებინ.

□ ბურიილამ საჩივარს გვწერენ, რომ უხილობითა და უგზობით ჩვენში ძალიან შევიწროებული არის ხალხი. სხვათა შორის ზღვის პირად, სეფის მდინარეზე ხიდის გასაკეთებლად ხაზინას შეიდასი თუმანი გადაუღვიო და ჯერ აქნობამდი კაცს არ უფიქრნია ეს ხიდი გაეკეთებინათ.

თეთონ მსურგეთში, წვიმების დროს, ისეთი ტლაპო და ტლახნი დადგება თურმე, რომ კაცს სიარული უჭირსო.

□ პიღვე ავაზაკობაზე გვწერენ ბურიილამ... სოფ. ბურიანთის მცხოვრებლებს დასხმია ამას წინათ რვა თათარი ავაზაკი იმ დროს, როდესაც გლეხები ხარებით ყანებს ხნავდნენ. რამდენიმე უღელი ხარი წაურთმევით და გაქციულან. მაგრამ პატრონები უკან გამოდგნებინან, ორი ავაზაკი მოუკლათ თოფით და ამასობაში შეყრილ სოფელს მოტაცებული საქონელი ისევ წაურთმევია და პატრონებისთვის ჩაუბარებია. ძორარესპონდენტი გვწერს, რომ ეს ორი მოკლული ავაზაკი ყველაზე უფრო ხშირად ეწვეოდნენ ჩვენ მოსაზღვრე სოფლებს და ბევრ ზიანს აძლევდნენო...

□ ამ გვარივე ამბავი სამეგრელოდამაც ხშირად მოგვდის, სადაც ქურდობისა და ავაზაკობის მოსასპობელად ღამის ყარაულები არიან თურმე დაყენებულნი; მაგრამ ამათგან ჩვენ სოფლებს ჯერ არავითარი დაცვა და სიკეთე არ უნახავსო...

□ იმ საავათყოფოში, რომელიც 4 აპრილის სახსოვრად არის ჩვენს ქალაქში გამართული, ამ თვის 1-დამვიდრე სექტემბრის 1-მდი ავათყოფების მიღება მხოლოდ დილაობით იქნება, რვა საათიდან ათამდინ.

□ „მოსკოვის უწყებებში“ შემდეგ ამბავს იწერებან: „ქავკასიაში სდგება კამპანია, რომელმანც ალაზნის მარჯვენა ნაპირზედ არხები უნდა გაიყვანოს და მიეღოს და ერთი ნაწილი სილნლის უფიდი უნდა მოაწყოს, სულ 1200 ოთხკუთხი ეფრსი. ჩვენ გვწერენ, რომ ამ კამპანიის დამფუძნებელი ამ საქმის სისრულეში მოსაყვანათ ჯეროვან განკარგულებას შეუდგნენო, და არხების გასაყვან ალაგების გამოკვლევას შეუდგნებინ იმ წამსვე, როგორც მთავრობისაგან ნება-რთვის მიიღებენო“.

ამ საქმის თაობაზე ჩვენ არა გავიგებია...

□ ზღვის სამინისტროს გამგებელი, ლენერალ-ადიუტანტი პრაბზე ქავკასიაში მოდის. იმის განზრახვა არის, როგორც ამბობენ, რომ ქავკასიის მადნის წყლებით ისარგებლოს და ამას გარდა აქაური ნავსადგურებს უნდა დახედოსო.

□ ზღვის სამინისტროს გამგებელი, ლენერალ-ადიუტანტი პრაბზე ქავკასიაში მოდის. იმის განზრახვა არის, როგორც ამბობენ, რომ ქავკასიის მადნის წყლებით ისარგებლოს და ამას გარდა აქაური ნავსადგურებს უნდა დახედოსო.

ანგარიში

თეატრის კასირის უფ. პეტროვის ანგარიშით, სამს იენისს „შეარყვარე ათაბაგის“ წარმოდგენაზედ გაყიდულა სულ 201 მანეთისა და 70 კაპიკის თეატრის ბილეთები.

ამ ფულისაგან მიღცა: თეატრში: იჯარადარს, დეკორატორსა და მოსამსახურებს 145 მანეთი და 50 კაპიკი.

თეატრის გარეთ: ტანის-სამოსში და სხვა წერილობანი ხარჯისათვის 30 მანეთი და 80 კაპიკი.

ღარჩა ნაღდი შემოსავალი 25 მანეთი და 40 კაპიკი, რომელიც „ღროების“ რედაქციას გადაეცით ქართულის სცენისათვის შეგკრებილის ფულის მისამატად.

პ. ლორქიფანიძე 5 იენისს, 1875 წ.

„დ რ მ მ ბ ა „ კორესპონდენცია

ქიზიუი, 29 მაისს

უკანასკნელ დროს გერმანიელებმა და ფრანკულებმა რომ ომიანობა ასტეხეს, ერთ რომელდაც რუსულ გაზეთში ყური მოგვარ შემდეგაზრს: „ომიანობის განმავლობაში ისე გა-

ვრცელდა ქურდობა, რომ საფრანგეთის სოფელმა უკანასკნელი ათი სული შინაური პირუტყვი დაჰკარგა ქურდობის მეოხებითაო.“

მე რომ თავით ფხებამდის ქაყიყელი ვყოფილიყავი, მე რომ ცოტათი მაინც არა მქონდა გაგება ევროპიული ცხოვრებისა, სიცილით არ მეყოფოდა ასეთი წინადადება. მე მაშინვე გამიბრჭყინდებოდა თავი: „აბა, ერთი წამობძანდით ჩვენ ქვეყანაში, რომ თითო მინიყის სოფელს წელიწადში სულ უკანასკნელი ასი სული მაინც შესხლტება ქურდობით და ეგ ან რა საგაზეთოა—მეთქი!“

პიტყოდი ამას და იქნება თავიც მომეწონებინა. ან რატომ არ უნდა მომეწონებინა თავი! მაშინ კი, უნდა გითხრათ, საფრანგეთში თითო სოფელს იმორტელა ზარალი რომ მისცემოდა, მეც თითონ გამიკვირდა. მე ის შაფიქრებდა: მინიყში ან ამაზე მომეტებული ზარალი რატომ არ გვეძლევა—მეთქი, რა გვიჭერს იქამდისა—მეთქი? შენი ქირიძე, ერთმანეთში კაცური გრძობა ამოგვიღებდა ლაგამს, ან გარშემო ისეთი ხალხი გვახვევია, რომ იმათზე მაინც დაგვენახა ძმობის მაგალითი! მრბელიანის ნათქვამი სიტყვები:

„შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა:

იგივე მხნე, იგივე გულადი, მებრძოლი შავის ბედისა!“

ის სიტყვები არ გახლდა ჩვენთვის წარმოუდგენელ თვისებაების ამწერ სიტყვებათა თუ! ამის მაგივრათ არა ითქმის ჩვენზე:

„შავთა დროთ აი შესცვალეს მის გული ანდამატისა:

ალარც მხნე, ალარც გულადი, მორჩილი შავის ბედისა?!

ჩვენ ქვეყანას ეხლა ყველა მხრიდან წასარჩლება უნდა, სინიღისური გულ-შემატყვირობა; ისეთი მოვლა როგორც საქირთა მძიმე ავათყოფისათვის, რომელიც მორჩინის იმედს იძლევა. ამას ეხლა ალარ ელალატება: ვინდა თვით სათაელი ეშმაკიც იყოს, იმასაც კი დაეძრახება ჩვენ-

თვის ზარალის მცდელობა, რომ ეს ასე იყოს.

მაგრამ აბა ერთი მოკლეთ, როგორც შეშენის პატარა გაზეთისთვის შედგენილ კორრესპონდენციას, მოკლეთ გადაეგოთ თვალი ჩვენ ცხოვრებას. თუმცა აქ ძირიელ საზარელ სურათთა ენახამთ, მაგრამ მაინც თვალებს ნურვინ დაეხუჭამთ: ეხლა მონაწილეობაა საქირთა, თუ შეველა არსადამ იქნება. ბუნება კი შეგვირიგდა და, რა ვიცი, კაცებს რაღა დ გვემართება!

როცა ქიზიყელებს მოსავალი პირს აძლევდა, მაშინ მომატებულ ნაწილს ოცზე გაცილებული სული მართო ძროხა ჰყვანდა—ჩვენ ში ხარსაც და ფურსაც ერთათ ძროხას ევძახით,— ბევრს ას სულამდის და მიტამდისაც ეყოლებოდა; მინიყში ხომ ცხვარი ბლომათ იყო: ასობით მომატებულ ნაწილს და ბევრს ათასობითაც,— ცხვარი ეხლაც საკმაოთ ჰყავთ.

იმ დროს მინიყის მცხოვრებლები ნეტარებაში იყვნენ, მთხოვარობა იშვიათი მოვლენა იყო. რაკი მოსავალმა ზურგი შეგვიქცია, მიდგა საქმე ამ ცოცხალ ქონებაზე და ჰა, ვისაც რამ უბლაოდა, ჰყიდა და ჰყიდა სულ უკანასკნელამდის.

ლუკმა-პურის ძებნამ ბევრს ალარ შეარჩინა პირუტყვიების უწინდელი სიმრავლე. პიღვი კარგი იყო, რომ პირუტყვებს ფასი დაბალი არა ჰქონდა. ამ გარემოების მადრიელნი უნდა ვიყენეთ, თორემ, შენი მტერი, რომ ჩვენ სულ ზედ გადაეგებდით მშვიტ მუცელს ამ ერთ სახსარსაც.

მა გარემოება ჩვენი გამომხნეილი იყო, მაგრამ ზედ ისეთი ბოროტება დაგვეცა და ეხლაც გააწვეს, უფასობაზე ნაკლები ალარ იყო. შეიღებს ულამერთოთ ქურდობა ბოლოს.

ისეთი გაჩაღებულია ჩვენში ძალათ ტციობა, ქურდობა, რომ ისეთი დღე როგორ გაივლის ოცდა ოთხ საათს, რომ არ გავარდეს ხმა—ესა და ეს კაცი დაიღუპაო. საქონლის პატრონი, მეტადრე ამ წელში, იშვიათია, რომ რამდენიმე პირუტყვით

არავის ჩამოუფელია. ბოლოს დაინახეთ ერთი შექლარაეებული, ტანით პატარა კაცი, რომელსაც მარცხენა გვერდით ეკიდა კოპით დაძველებული ხმალი. ჩვენს შორი-ახლო ამოიღო თავისი ხმალი და უნახა ფხა; მერმე ჩანთიდან თითით რაღაც ქონის მსგავსი ამოიღო, გაუსე-გამოუსეა ხმლის პირს, უნახა ისევე ფხა და დაიმედებულმა ჩააგო ქარქაშში.

„მე ვუთხარა შეილებს: „თავი ანებეთ ემაგ კაცს, ღეთის გულისათვის—მეთქი“. შეფროსმა შემომიტია და მითხრა: „შენ როგორი ბელადი ხარო? ჩემი ცოდვა თქვენი იყვეს, გვითხრა ყველას, თუ მომეშველოთ ვინმე; მე მართა შევეკრამო“. მეც აღარა ვუთხარირა და როდესაც დაგვიპირდაპირდა ის შეჩვენებული კაცი, გაღუბტა ჩემი უფროსი შეილი, დაჰკივლა, მარამ ვერ დაეინახეთ რო-

გორ, ბერი კაცმა ერთის ხმლის შემოქნევით მხარ თავი გააგდებინა ჩემს შეილს, რომელიც ფორთხალით დაეცა მიწაზედ. ბადეიდა — მეორე, მესამე... მეცხრე, ყველას თავები დამიყრვეინა და შემომძახა: „პიღვე ხართ ვინმეო? — „აქ ვარ, შენი ქირიძე—მეთქი! მუთხარი. „ტყვეები ხომ არ გყავთო? — „მკობა. „ზეყავს—მეთქი“, მივუგე.

ბაეუძეხ და მივიყვანე ხეზედ მიკრულს ტყვეებთან. მს ბერი კაცი ჯერ გაოცდა; მერმე ამოიღო ხმალი, გამოსჭრა ერთი ბერკეტი და ოთხივეს სათითაოთ იმდენი სცემა, სანამ მოიღალებოდა. მერმე აუშეა და შეუტია: „ჰაი, თქვე ქართველობის შემარცხენელებო, თქვენაო! ამ წუწკმა ლეკებმა როგორ შეგკრეს ოთხი ლომივით ვაჟკაცი? აი შეგარცხენათ ლმერთმარა!“

„ამოვედით ჩემის შეილებისთვის უბედურს ადგილს, სადაც ზოგი მათგანი ხელს იქნედა, ზოგი ფხეს, ზოგი პირს აღებდა და ვინ იცის როგორ ჩემს გულის საკლავს მოძრაობებს არ შერებოდნენ! ჩემი გული წავიდა! ამ შეჩვენებულმა ერთმა კაცმა ეს უბედურება მომაყენა თავს. პიღო რაც მოეწონა ჩემის შეილების იარაღში, ცხრა მარჯვენა ხელი გააკეთა კაპებზედ და უნდა წასულიყო.

„მარამ, დახე ჩემს უბედურებას! მომიბრუნდა და მითხრა: „ღაღესტანში რა ამბავს გადიტან ჩემზედაო? მე ვუთხარო: „ბანა არ იცი, რაც ითქმება ჩემგანთ შენზედ—მეთქი! მარამ მოვიდა და მიმაკრა ახლო მდგომარე თელის ხეზედ; ამოიღო ხმალი, მომისეა და მომათალა ცხვირი. მერმე რაღაც მალამო წამისო და ერთი ცვარი სისხლიც ალარ გადმომვარ-

დნია, და ამ სიტყვებით მომშორდა: „წადი და სადაც შენი სთქვა, იქ ჩემიც სთქვიო!“

მეორით ას ოცი ლეკი წამოსულიყო მართლისაკენ და ზედაძენის ეკლესიის მახლობლათ დამდგარიყვნენ დასასვენებლათ.

როდესაც ეს ამბავი შეეტყობინებინათ ხამხამესთვის, იმას ჩამოეკიდნა გვერდზედ კოპით ხმალი, მორთულიყო ლეკურათ (ლეკური ტანისამოსი ყოველთვის ჰქონდა) და სიხარულით წასულიყო დაუპატყვებელ მართლის სტუმრებთან. მივიდა თურმე ლეკებთან და დაუწყო წმინდა ლეკურის ენით ლაპარაკი. მიიხედ-მოიხედა და როდესაც დაინახა ეკლესია, დაუძახა ლეკებს: „რაზედ იხოცებით გარეთ? შემოდით, აი ამ საყდარში დავანთოთ ცეცხლი და ქვიფი გავსწიოთო.“



რუსეთი

რუსეთი

არ დარბეულიყოს და მით გული არ მოსწყვეტოდეს. შენი გაზლილი, ნა-ალერსი, რომლის გასუქების და ღონის მომატების გულისთვის დაგიფთხია ძილი, შენ გიყარათნია, შენთვის მოგიკლია უკანასკნელი ლუკმა და იმათზე გადაგიგია, რომ ძრიელ დიდ გაჭირებაში ახლა იმან დაგასაჩუქროს, ერთი სიტყვით, შეილივით გაზლილი პირუტყვი გერთმევა ხელი-დამ, მიჰყავს მტერს, რომლისთვის შენ, ვინ იცის, რამდენჯერ გაგიწე-ვია ძმობა და მეგობრობა.

შამოცდილებით ვიტყვი, რომ ბე-ერს შინაური პირუტყვი ყველა სიტყვის მეტონე ქმნილებას გაცლებით ურჩევნია. ან რა გასამტყუნარნი არიან, როდესაც სიტყვიერები უსა-სყიდლოთ არ სად არიან?!! ეს პი-რუტყვეები ცალკე ცხოვრების წყა-როთ ეხმარებიან ქიზიყელებს, ცალ-კე ძმური სიყვარულის გრძობის აღმგზნებათ. ამ პირუტყვეებდამა რჩება ცარიელი ჩენი ქიზიყელი, მერე ზოგ კაცს ერთხელათ წასხმაზე ათსა და ოცს არ აკმარებენ. ამის-თანა მაგალითები მე ძალიან ბევრი ვიცი.

მაგრამ ვინ არის ჩენი ასეთი უღმერთო მტერი?—მითონ ჩენივე ძმა, ჩენი სოფლისავე მართლის შეილი, მეტადრე ისეთი, რომელსაც არაფერი გაჭირება არა ადგია რა და ყველაზე მომეტებული ცოცხალი საქონელიცა ჰყავს.

მტრების რაზმში კი ნურვინ შე-მრაცხავთ და, მე მინდა გამოვაქვე-ყნო იმათი ხელობის საიდუმლო.

რომელსამე დანაშაულობაზე თა-თარს გაამწყსებენ საციობროთ. ეს თათარი ან თვით საპყრობილიდამ გამოექცევათ, ან კიდენ სასამართლო-ში აღარ შეიხნება, რაკი ნახავს, რომ საქმიდამ ადვილათ გამოძრე-ნა აღარ შეიძლება, გავარდება ყა-ჩალათ. შაჩალი ის კაცია, რომელსაც პოლიცია დასდევს დასაჭერათ, და ყველა კაცი, რომელიც იმას დაი-ჭერს, ჯილდოს მიიღებს. მაგრამ

ყაჩაღები მუდამ უფრო უკეთეს ცხო-ვრებაში არიან, რასაკვირველია, ქუ-რლობით, შეუძრწუნებელნი და არ-ხინათ. ძროხის პატრონი ქართვე-ლები, წინათ იმათი მეგობრები, უფ-რო პატივს სცემენ, უახლოვდებიან და ადგენენ ერთმანეთში ვრცელ ქურდების კამპანიას. ამ კამპანიის წევრები ვაიყოფებიან, დადიან ცალკ-ცალკე, შეათვლიერებენ სადმე სა-ქონელს; ბოლოს ან სულ ერთათ, ან ნახევარი დაეცემიან და წასხმენ საქონელს. რასაც ასეთი პატრონე-ბით მოაპოვებენ, სულ საერთაა. ამითი კარგათ ჰსჭამენ, უფრო კარ-კათა სმენ, დღისით ითვრებიან, იძი-ნებენ, გამოღვიძებისას შეუდგებიან თავიანთ გამაუბედურებელ და სხვის დაძამებულ საქმეს.

შველა სოფელში იციან, რომელი ქართველია ქურდი და ყაჩაღების წინამძღოლი, რომელმა რა მოიპ.რა; მაგრამ როგორ ვისმეს შეუძლიან სადმე საჩივრების ატეხა? პირველათ, რომ უფრო უარეს საქმეს დამართ-ებენ: ან სახლს დაუწვენ, ან თოფით მოკლავენ, — სახლები კი ხშირათ ანათებენ ხოლმე ძიზიყის ბნელა ღამეებს და თოფით კი ჯერ არა ვინ მოუკლამთ, თუმცა ამ იარაღით და-ჭრა და დამახინჯება არ არის გასა-კვირველი მოვლენა ჩვენში. მეორე ის არის კიდევ, რომ თვითონ ქურ-დების ამხანაგები გასცემენ პატრონ-თან ნამდვილ ქურდსა, შეიყოლიებენ პატრონს, ნამდვილათ ასწავლიან ყვე-ლა სახსრებს, მაგრამ საჩივარში თა-ვის დღეში არ უმოწყობენ, თუ ვინმე შესცდა და იჩივლა; საჩივარში გაბმა არცკი ქიზიყელ ხალხს ეხალისება: იცის, რომ სრულებით უნაყოფოთ ჩაუფლის შრომა. ასე გაშინჯეთ, ნა-ჩაღნიკთან ან სოფლის სასამართ-ლოში განცხადების შეტანაც ეხარე-ბათ—ესა და ეს დეკარგო: ჩვენე-ბური ანბანის არ მკოდნე მწერლე-ბი ისეთ ფასსა სდებენ თავიანთ კა-ლამს, რომ გლენ-კაცს ჯერ ისიც ეკმარება, რომ სრულებით მოუხსე-ნებლათ აიღოს ხელი თავის დანა-კარგზე. ტატალა

(დასასრული შემდეგში)

✶ ზოგიერთს საქალბო სასწაე-ლებლებში, სამინისტროს განკარ-გულებით, როგორც ამბობენ, ბულ-გალტერიისა და საზოგადოთ ვაჭრუ-ლი ანგარიშების სწავლა უნდა მიუ-მატონ ახლანდელ პროგრამას.

✶ პირიმიდამ რუსულს გაზეთებში იწერებიან, რომ იქ წელს ძალიან კარგ ჭირნახულის მოსაეალს მოე-ლიან; მხოლოთ ამ უკანასკნელ კვი-რებში წვიმა არ მოსულათ და გვა-ლის ეშინიანთო. ზოგან კი რალაც ბუზი გაჩენილა და ხილს აფუჭებ-სო.

✶ როგორც სჩანს, მარტო ჩვენ-ში კი არ ყოფილა გახშირებული ქურდობა განსაკუთრებით ცხენებისა: ნოვგოროდიდამ ერთს სატახტო გა-ზეთში სწერენ, რომ ჩვენს გუბერ-ნიამი ისე დღე არ გაივლისო, რომ ხან ერთ ალაგას და ხან მეორეს სოფლებში ცხენის ქურდობა არ იყოსო. მითონ ჩვენს ქალაქშიაც ძალიან გახშირებული ქურდობა არი-სო და თუ პოლიციამ ახლავე უფ-რო ენერგული ზომები არ იხმარა, იმათგან მალე მოსვენება აღარ გვე-ქნებაო.

✶ რადგან სასოფლო შკოლებში სახელმძღვანელო წიგნების შოვნა ძალიან სჭირს და ხშირად ღარიბ ხალხს სატახტო ქალაქებიდამ დაბა-რება ვერ შეუძლია, ამის გამო მთა-ერობას განუზრახავს, რომ ყველა უეზღებში, სადაც კი ერობასთან სა-მასწავლებლო რჩევაა გამართული, ამ რჩევების სადგომებში წიგნის მა-ლაზიები გამართონ.

✶ „მოატკის გუბერნიის უწყე-ბებში“ იწერებიან, რომ წელს ზ.მ-თარში მარტო ერთი უეზღის პურის მაღაზიებში თავგებმა 203,587 მანე-თის პური შესჭამესო.

ძაი ყლაპვა სკოდნიათ ამ თავგებს, თქვენმა მშემ....

საზრანბითი. ძომისიას, რომელ-საც კონსტიტუციური კანონების გადახედვა აქვს მინდობილი, განუ-ხილავს, სხვათა შორის, ის მუხლი, რომლის ძალითაც ომიანობის გა-მოცხადება და მოსპობა მხოლოთ რესპუბლიკის პრეზიდენტზე უნდა იყოს დამოკიდებულიო. ძამისია არ დათანხმებულა ამ მუხლზე; იმის ჰა-ზრით ეს საქმი, რომელზედაც მთე-ლი ქვეყნის ბედი და უბედობა არის დამოკიდებული, ერთს კაცს არ უნ-და ჰქონდეს მინდობილიო; არამედ ხალხის წარმომადგენელ პალატებმა (ნაციონალურ ქრებამ და სენატმა) ერთად და თანხმობით უნდა გადაწ-ყვიტონო. ეს აზრი ახლა ნაციონა-ლურ ქრებას უნდა წარუდგინონ და-სამტკიცებელად, რომელიც, როგორც იმედი აქვთ, კამისიის ჰაზრს დაეთან-ხმება.

რუსულ გაზეთებში დამტკილი დეპუტატებით ვტყობულობთ, რომ ქა-ლაქს ნიევრში რამდენიმე ბონაპარ-ტისტის სადგომები გაუჩხრეკიათ, რო-მელთაც აბრალებენ. რომ დეპუტა-ტი ბურგოენის ამორჩევის დროს, ბევრი ისეთი ოინები და საშუალება იხმარეს, რომელიც კენჭის ყრაში კანონით აღკრძალული არისო. იმა-ვე დეპუტატების საშუალობით, ვტყო-ბულობთ, რომ კამისიას, რომელსაც ეს ბურგოენის ამორჩევის საქმიე ჰქო-ნდა მინდობილი, გადაუწყვეტია, რომ ბურგოენის კანდიდატათ ამორჩევა უნდა გაუქმდესო, რადგან უკანო-ნო კენჭის ყრით აირჩიესო. მაშ მარ-თალი ყოფილან გამბეტტა და სხვა ზოგიერთი დეპუტატები, როდესაც შარშან ამტკიცებდნენ, რომ რუერ-სა და სხვა ბონაპარტის პარტიის მო-თავეებს შეთქმულობა აქეთო და კენ-ჭის ყრის დროს ყველა უკანონო სახ-სრებს ხმარობენ, ოღონდ თავის მომ-ხრეები ამორჩევიონ ხალხსაო?

მსპანიბა. მინისტრების რჩევას გადაუწყვეტია მადრიდში, რომ ახალი სახელმწიფო კონსტიტუციის შედ-

მართლაც იხუელეს და საყდარში ფხაჟა შეიტანეს გახარებულმა ლე-კებმა. ღანთეს ორგან ცეცხლი და რიგ-რიგით უსხდებოდნენ გარეშე-მო.

ლევები ლაპარაკით გაერთენენ; ამ დროს ზოგია გამოვიდა გარეთ, ხმალი-ამოდებული ჩადგა ერთად-ერთს საყდრის კარებში და შეძმ ხა ლევებს: „შამოდით, თქვე გასაწყვეტებო, თქვენათ!“ რამდ-ნიც გამოვიდა, სუ-ყველას თურმე თავები დააყრეინა. ბოლოს ას ოცი მარჯვენა სალოკი თითები დაჭრა და მართთა მეფე ირაკლის, რომელმაც ის რიგიანათ დააჯილდოვა ამის გულისათვის.

მითი ამბავიცა ესთქვათ ზოგია-ზედ:

ხუთასი ლეკი საგურამოში დამდ-გარიყო ღამე. ხამხამე და ბივი ბო-დაველი თურმე ერთად მოდიან ტყე-

ში ბილიკზედ და როდესაც გამოვი-დნენ ველათ, შენიშნეს ლევების სა-დგომი. შუაში ცეცხლი ენთო; აქ იჯდა ერთი კაცი—ყარაული, რო-მელსაც ძილი მორგოდა და ჰსთე-ლემდა; მოშორებით ცეცხლის გა-რეშემო ეძინათ სხვა ლევები; ერთს მხარ-თეძოზედ წამოწოლილს ედო თავი მეორეს თეძოზედ, რომელიც ამგვარადვე იწეა და სხ. ამ დროს ზოგია და ბივი ბოდაველი შეჯი-ბრებით ლაპარაკობდნენ ერთმანე-თის წარჩინებულებზედ საომარ სა-ქმეში: „მე გჯობივარ, მე!“ უთხრა ბივმა. „აბა, თუ მჯობიხარ, მოდი და დავამტკიცოთ: აბა შენ გაიქეც და აიმ ცეცხლთან მჯდომარეს ცხვი-რი მოსჭერ; მერმე მეც ჩემ ბიჭობას გიჩვენებ!“

ამ სიტყვებით გაფრინდა ზოგია, გადახტა მძინარეს ლევებისაგან შე-

დგენილს მესერზედ, მიეპარა მთელე-მავს ლეკს და ერთს თვალის დახამ-ხამებაზედ ცხვირი შიგ ძირში მოა-თალა. (როგორც ეტყობა, ცხვირე-ბის ჭრაში ძალიან დახელოვნებული ყოფილა!) შამოიქცა და უკანვე გად-მოხტა.—„აქა ვარ, აქა ბივი ბოდა-ველი!“ ღაიძახა ბივმა, გაშიშვლე-ბულის ხლმით შეერივა ჭიანჭველა-სავით არეულ ლევების გუნდში და დაუწყა კაფვა, როგორც საბაკე წნელს. ზედ ზოგიაც მიეშველა და ეს ორი კაცი ციბრუტივით თურმე ტრიალებდნენ ხმალ გაშიშვლებულ-ნი ლევებში. ამასობაში გათენდა და ერთი ლეკიც აღარ დარჩენილა. რასაკვირველია, ლევებს ერთმანეთი ბევრი ეხოცნათ.

ბივი და ზოგია მრთლათ სისხლ-ში მოსერილები ჩაეიდნენ მეფე ირა-კლისთან, რომელმაც კიდევ დააჯილ-დოვა წესიერათ.

ბავიგე, რომ მითომ ამ ზოგიას ნაქონი ის ბასრი ხმალი კიდევ ჰქონ-დესთ აქამომდე მის შეილის-შეილებს მცხეთაში.

ზოგია ხამხამე თითქმის ცხრაჯერ მოიტაცეს დატყვევებული ლევებმა და რამდენჯერ-ც მეფე ირაკლის ეტყოდნენ: „შენი ზოგია ხამხამე წაიყვანეს ლევებმაო,“ ის უდარდე-ლათ უჰასუხებდა: „ჩემი ზოგია ხ.მ-ხამე ამ სამდღეში აქ გაჩნდება თა-ვის კულა ხლმითაო!“

მართლაც, როდესაც ლევები სამ-შეიდობოს, ღადესტნის გადასახედს მთაზედ ავიდოდნენ და გაფლარა-თებულნი უდარდელათ დაიძინებდ-ნენ, ზოგია ხამხამე შეიჭრდა რამე გზით თასმებს, აიღაბდა თავის ხმალს, ყველას მშვიდობიანად დააყრეინებ-და თავებს და უენებელად მოვიდო-და თავის საყვარელს ირაკლისთან.

აი, ამისთანა ბიჭი კი იყო ზოგია ხამხამე...

ს. სამთავისი პ. შალელი

გენა იმ კორტესებს უნდა მიენდოს, რომელსაც ამ მოკლე ხანში ამოირჩევს მსპანიის ხალხი.

მაგრამ სანამ ამ კორტესების წევრებს ამოირჩევენ, სანამ კორტესები სახელმწიფო საქმეების განხილვას დაიწყებენ, მანამ მსპანია ისევ ძველებურ ტანჯვაშია: დონ-პარლოსი აჯანყებას ჯერ დასასრული არ უჩანს. რამდენსამე ალაგას ყოფილა შეტაკება ნაგარიისა და კასტილიის პროვინციებში და ზოგან მმართველობის ჯარს დაუმარცხნია და ზოგან კი კარლისტები დარჩენილან გამარჯვებულნი.

ამას გარდა რესპუბლიკელების მხრიდანაც მოუწევრობა მოცილის ამ ახალ სუსტ მმართველობას. ერთი ფრანკო-სული გაზეთი გვაცნობებს, რომ ამ დღეებში ორი ლენვრალი დაიჭირეს მადრიდში და ორივეს აბრალდნენ, რომ მსპანიაში რესპუბლიკური მმართველობის დასაფუძნებლად შეთქმულობაჰქონდათ.

გერმანია. სამზღვარ გარეთის ზოგიერთს გაზეთებში იწერებოდნენ ამას წინათ, რომ გერმანიისა და მსპანიის სასახლეს შუა სიადუმლო მოლაპარაკება არისო, რომ მსპანიის კაროლმა დონ-ალფონსმა გერმანიის ერთ-ერთი პრინცესა უნდა შეირთოსო და დონ-ალფონსის და ბავარიის კაროლის მემკვიდრეს უნდა მიათხოვონო. მისაც 1870 წლის ომის მიზეზი ახსოვს, ის ადგილათ წარმოიდგენს, თუ როგორ უნდა აეშფოთებინა მეროპის ჟურნალისტიკა ამ გერმანიისა და მსპანიის დამოყრების ამბავს. მაგრამ ახლა მადრიდში მოსული დეპუტატ-ნობლებს, რომ ამ ხმებს არაფერითა საფუძველი არა აქვს.

ქრონიკა

11

პარტოველები, ასურეთის მფუნინი და სემირამიდა, 1250 წლიდან 1143 წლამდე, ამორტლები (ამაზონაები) და ძალის მნიშვნელობა საქართველოში.

ამ გვარად ახსნა ამ მდინარისა მით უფრო ნამდვილია, რომ, როცა

გაზაფხული მოატანდა, ამორტლები შეიყრებოდნენ ერთ შთაზე, რომელიც იმათ განაცალკევებდა გარგარენელებისაგან და აქ რჩებოდნენ ორ თვის განმავლობაში. ძველებურის ჩვეულებისამებრ აქვე მოდიოდნენ გარგარენელებთან კაცებიცა. აქ ისინი შეიყრებოდნენ ერთად, ჯერ ღმერთებს სხვერპლს შესწირავდნენ, მერმე დამის სიბნელეში გაურჩეველად აირეოდნენ ერთმანეთში. როგორც კი შეატყობდნენ, რომ ამორტალი დარსულდა, მაშინვე იმას განაცალკევებდნენ. ამ სახით ნაშობ შეიღებთაგან ქალები რჩებოდნენ ამორტლებს, ვაჟები კი უბრუნდებოდნენ კაცებს. არც ერთს კაცს არ შეეძლო არ მიეღო თავის სახლში ამგვარი ბოეში, თუნდ რომ არასცოდნოდა ის იმას ეკუთვნის თუ არა.

მა ამორტლები თვითონვე ხნავდნენ და სთესავდნენ; მაგრამ იმათი უპირველესი ხელობა მწყემსობა და ვენახების გაშენება იყო. იმათ ბევრი ჰყვანდათ ცხვარიც და საქონელიც. იმათთაგან ვინც უფრო გამბედავნი იყვნენ, ისინი ნადირობდნენ, ცხენოსნობდნენ და სამხედრო ხელობას სწავლობდნენ. სიყმაწვილობიდანვე ისინი იღადავდნენ მარჯვენა ძუძუს, რომ ომიანობის დროს იმან არ დაუშლოს ისრის სროლა. ამის გარდა ისინი კიდევ ხმარობდნენ შეილდისარს, ფარს, ჯავშანს და მუზარაღს; და წელზე ერთკვით მოუქნელი ტყვის ქმარი.

ამ ამგვარი ცხოვრება ჰქონდათ ამ ქალებს, როგორც აღსწერს მოპენი თავის თხზულების მე-15, 16, 17, 18, 19, 20, 21 კაბადონებზე, და ამით ჰქონდათ თავაზეთში რესპუბლიკური მართველობა.

ამათი ამგვარი მძლავრობა, თავის უფლება და მნიშვნელობა ამტკიცებს, რომ ქართველებში ძველის ძველადგანვე დედათა სქესს დიდი პატივი და გავლენა ჰქონია. საქართველოში, ამბობს მსენოფონტი, „მამა-კაცები დიდად მისი-დევენ დედათა სქესსო.“ საქართველოში კაცებს დედაკაცები ისრე არა ჰყოლიათ დამონაფებელი, როგორც სხვაგან აზიაში. ამიღვან

ახსენება ის ჰაზრიცა, რომ ქართველობაში, როგორც ამბობს ჩვენი მათიანე, მრავალ-ცოლობა არ ყოფილა: ქართველს შეეძლო მხოლოდ ერთი ცოლის შერთვა, და როცა ქმარი მოკვდებოდა, სახლის უფროსობა ცოლსა რჩებოდა, როგორც მაგ. დარჩა ქართლოსის ცოლს, და თუ გათხოვდებოდა, წილი ეძლეოდა ქმრის სარჩოლად.

ინგილო ჯანაშვილი

განცხადებანი

თფილისის ქალაქის უპრავესა

თფილისის ქალაქის უპრავესა საყოველთაოთ აცხადებს, რომ მომავალი ივნისის 16 დღესა იმის თანადასწრებით და თანხმით ქალაქის გამგეობის (დუმის) გადაწყვეტილებისა იქნება მხოლოდ ერთხელ ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით მიძევა საში წლის ვადით ჰუჩაბის უანრამის განათება.

ვაჭრობაზე თავის პირობების წარდგენა შეიძლება პირადათ და აგრეთვე დაბეჭდილის განცხადებით. მსურველთ [სურსათების] ნახონ და წაიკითხონ ნამდვილი პირობები (კონდიციები) უპრავეს ქანცელორიაში, ყოველ დღე, დილის ათი საათიდან, ვიდრე ნაშუადღევს 2 საათამდე, და ვაჭრობისათვის კი დანიშნულ დღეს უნდა მოვიდნენ.


ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელი **ლ. ელიშიზოვი**

გამოვიდა და ისყიდება თფილისში ქვე. ხელადის სტამბაში:

სამიჯნურო მიწერამოწერა **ქალ-ვაჟისა**

უასი ყველგან ერთი შაური გამოცემული

ქე. ხელადისაგან. ჩქარა გაიგზავნება სხვა ქალაქებში: ბორში—მ. პანდე-ლაკთან. მუთაისში—მ. ასათიანთან (სასულიერო სასწავლებელში) და უსეიმონ ჩომახიძისთან. მსურვეთში თ. პეტრონ ნაკაშიძისთან და ძაკაბა ბოგვაძეს მალაზიაში.



მაცნობთ პატივცემულს საზოგადოებას, რომ იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამომავალი პირველი ქარი **ქარაბანიანისა**, რომელიც პირველი გამოცემა ჩვენში.

ჩვენ გვგონია ურიგო არ იქნებოდა, რომ აქამდისაც დაბეჭდილიყო ესეთი სამური საკითხავი წიგნი და ზღაპრული მოთხრობა უწინდელი გმირებისა და ფალავნების — ქარამანიის და ბარდანქეშანიის მოქმედებები. ბევრს კი ჰსურდა ამ სამური წიგნის დაბეჭდვა, მაგრამ, წიგნის სიდიდისა გამო, ვერ ჰხედავდნენ, რადგანაც ამის დაბეჭდვას დიდი შრომა, ხარჯი და თავისუფალი დროც უნდოდა.

ჩვენ ვაგებდეთ ამ წიგნის გამოცემა სტ. მელიქიშვილის სტამბის ასოს-ამწყობით და მაშინისტო, **დ. ლაზარევი** და **ნ. კობალაძე** სტ. მელიქიშვილის შემწეობით.

მს წიგნი შეადგენს თორმეტს კარს, ე. ი. თორმეტს ნაწილს. რადგანაც ჩვენ ვერ მოეხერხეთ, რომ სულ ერთიანათ დაგვებეჭდა ერთ წიგნათ, ამის გამო ჩვენ ვბეჭდავთ ნაწილ-ნაწილათ, ე. ი. თითო კარს.

პირველი კარი გამოვა თუ არა ბეჭდვიდან, შეიძლება მაშინვე გასყიდვა; და მას შემდეგ ვაგებდებთ ბეჭდვას მეორე კარისას და აგრეთვე მესამე კარისას; ამ გვარად, ვიდრე თორმეტ კარ მდის სულ ცალ-ცალკე წიგნათ გამოვა და გაისყიდება.

ამ მოკლე ხანში, როცა „პირველი ქარის“ ბეჭდვა შესრულდება, ჩვენ გამოვაცხადებთ ფასს, თუ როგორ ეღირება თითო წიგნი.

რ.პ. გზა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	სეცხლის გეგები	ფოფტა	გირჰა	მან. კაპ	გაზანდა	მან. კაპ
თფილისი	818	817			ა) შოთილამ:	ა) თფილისი დამ:	პეტერბურგი, 29 მაისს.		თფილისი, 2 ივნისს	
მცხეთა	918	10	68	38	მ.დესისკენ — ორშაბ. დილის მსაათ.	სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს	ერთი მანეთი ღირს:		პური შორავლის ფთ.	120
ბორი	1139	143	40	23	სტამბოლს — კვირაობით დილას.	ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.	ლონდონში 33 1/8 პენსი.	84	ჭერი ფუთი.	60
სურამი	152	430	92	18	ბ) სოხუმიდამ:	ოთხშ., მსურგეთს — პარასკ. და	პარიში 349 1/4 სანტიმი.	89	ბამბა მრეწვისა, ფუთი.	480
ბეჟათუბანი	345		42	46	შოთს — სამშაბათს, ღამით.	ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და	მსკონტი (სარგებლის ფასი)	5	— ამერიკისა, ფუთი.	665
ქვირილა	649		81	23	მ.დესას — კვირას, გათენებისას.	შაბ. ტახეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეთი 5%	99	ბაჰენტილი ბამბა ფთ.	8
მუთაისი	755		67	37	შოთილამ:	ბ) მუთაისი დამ:	მოგებიანი (პირველის სესხი)	208	მატყლი თუშური ფთ.	610
სამტრედია	9	2	73	29	სოხუმიდამ:	თფილისისა და შოთისკენ — ყო-	მოგებიანი (მეორე სესხი)	203	— თორაქამისა ფთ.	380
ახ.-სენაკი	10		57	47	ქვირილამ:	ველ დღე, კვირას გარდა. მსურ-	ბირაოს ფურცლები:		აბრეშუმი ნუხური გრ.	260
შოთი	11		75	42	ტავანროგ.	გეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდის	თფილ. სააზნ. ბანკისა.		ჭონი, ფუთი.	440
					მ.დესსამდი.	— ოთხშაბ.	ხერსონის ბანკის (5 1/2)	87	ჭონის სანთელი ფუთი.	560
						გ) ბორი დამ.	მოსკოვის (5%)	86	სტეარინის სანთელი, ფ.	1045
						ყოველგან ყოველ დღე, კვირას			ხორცი ძროხისა, ლიტ.	70
						გარდა.	აქციები:		— ცხვრისა, ლიტრა.	80
						დ) შოთი დამ:	მ.დესის სავაჭრო ბანკის.	215	— სპირტი, ვედრო.	7
						ყოველგან ყოველ დღე, კვი-	შოთი-თფილ. რკინ. გზის	133	შაქარი, კარგი ფუთი.	850
						რას გარდა.	შავიზღვის ცეცხ. გემების	560	— ფხენილი ფუთი.	690
						წიგნის გაგზავნა რუსეთში:	ტავკაზის და მერკურის.	168	შავა გრგვალის ფუთი.	1970
						ლია წიგნის	პირგ. საზღვევ. საზოგ.	665	ზეთი ტუნჯუთისა ფთ.	750
						დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	მქრო 1/2 იმპერიალი.	590
							მოსკოვის საზღვევ. საზ.	257		